ცხადდება კონკურსი თსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის ერაზმუს+ პროგრამისა და ორმხრივი თანამშრომლობის სტიპენდიების მოსაპოვებლად

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საქართველოსა და ევროპაში, ასევე მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მაგისტრატურის საფეხურის პირველი და მეორე სემესტრის და დოქტორანტურის საფეხურის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე* სემესტრის სტუდენტებისთვის

სტიპენდიების ჩამონათვალი ქვეყნების, უნივერსიტეტებისა და მიმართულებების მიხედვით:

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის:

ავსტრია

ზალცბურგის უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები **(ინგლისურენოვანი)**: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკისმეცნიერებები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://www.plus.ac.at/politikwissenschaft/studium/erasmus/erasmus-incoming/

იტალია

რომის საპიენცას უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები **(ინგლისურენოვანი)**: კომპიუტერული მეცნიერებები, ბიოლოგია, ქიმია
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://corsidilaurea.uniroma1.it/en

ლატვია

ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, პოლიტიკის მეცნიერებები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://va.lv/en/study-here/exchange-opportunities/courses-exchange-students

ფინეთი

იავასკულას უნივერსიტეტი
მიმართულება: სოციალური სამუშაო
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი https://www.jyu.fi/en

ჩეხეთი

პალაცკის უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები: სოციოლოგია, კულტურის კვლევები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://www.upol.cz/en/

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის:

იტალია

რომის საპიენცას უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები (ინგლისურენოვანი): კომპიუტერული მეცნიერებები, არქეოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ევროპული კვლევები, ეკონომიკა
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://corsidilaurea.uniroma1.it/en

ლატვია

ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, პოლიტიკის მეცნიერებები, ევროპული კვლევები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://va.lv/en/study-here/exchange-opportunities/courses-exchange-students

ფინეთი

იავასკულას უნივერსიტეტი
მიმართულება: სოციალური სამუშაო
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი https://www.jyu.fi/en

ჩეხეთი

პალაცკის უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები: სოციოლოგია, კულტურის კვლევები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://www.upol.cz/en/

ორმხრივი გაცვლითი პროგრამა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის:

პოლონეთი

ვარშავის უნივერსიტეტი http://en.uw.edu.pl/
გაცვლითი პროგრამის პირობები: უფასო სწავლა; ყოველთვიური სტიპენდია (კვებისა და საცხოვრებლის ხარჯების დასაფარად).
სტიპენდიის ზუსტ რაოდენობაზე გადაწყვეტილებას მიმღები უნივერსიტეტი იღებს გაცვლითი სტუდენტის წარდგენის შემდეგ.
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

აღნიშნულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე: exchange@tsu.ge

ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამა დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის:

ფინეთი

იავასკულას უნივერსიტეტი
მიმართულება: სოციალური სამუშაო
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი https://www.jyu.fi/en

ჩეხეთი

პალაცკის უნივერსიტეტი
სასწავლო მიმართულებები: სოციოლოგია, კულტურის კვლევები
მობილობის პერიოდი: 2023/2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
https://www.upol.cz/en/

შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ საერთაშორისო მგზავრობისა და სამოგზაურო დაზღვევის ხარჯები!

კონკურსზე დაშვების წინაპირობაა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:
ა) მიმდინარე კონკურსის რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 4 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატები:

TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა) ან Cambridge B2 First (Cambridge English First /FCE)-ის სერთიფიკატი;

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხოური ენების ინსტიტუციური ტესტირების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 71 ქულისა), რომლის შედეგიც ძალაშია ტესტირების ჩატარების სემესტრისა და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში, შესაბამისად, ამ კონკურსის მიზნებისთვის ვალიდურად ითვლება 2022 წლის 5 ოქტომბრის ან/და 2023 წლის 10 მარტის ტესტირების შედეგი);

გ) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 1 სემესტრის განმავლობაში დასწრებულად სწავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, სწავლების ენის მითითებით, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ენა;

დ) თსუ-ს სრულად უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები თავისუფლდებიან შესაბამისი უცხოური ენის ტესტირების ვალდებულებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი მასპინძელი უნივერსიტეტი ითხოვს შერჩეული სტიპენდიანტებისგან უცხო ენის ტესტირების დამადასტურებულ ცნობას.

ე) სკოლის დამამთავრებელი ან ბოლოსწინა სრული აკადემიური წლის დასწრებულად გავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, სწავლების ენის მითითებით, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ენა.

ვ) საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში კვლევითი სტაჟირების გავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე დასწრებულად, კვლევითი სტაჟირების ენის მითითებით, სადაც სტაჟირების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ენა. კვლევის/ სტაჟირების მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 3 თვე და მაქსიმალური - 5 თვე;

ზ) საუნივერსიტეტო დონეზე პედაგოგიური საქმიანობის/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, კერძოდ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით განცხადების გაკეთების და წინა აკადემიური წლის განმავლობაში არანაკლებ 2 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში მინიმუმ 5 კრედიტის დატვირთვის მქონე კურსის წაყვანა, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო ინგლისური ენა.

<u>სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის) ასლი (სკანირებული pdf ვერსია);
2. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv;
3. ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
4. მიმდინარე შეფასებების ამონაწერი აპლიკანტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია;
5. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირობები იხილეთ ზემოთ). **აპლიკანტებს, რომლებსაც თსუ ენის ინსტიტუციური ტესტის დადებითი შედეგი აქვთ, არ ესაჭიროებათ დოკუმენტის ატვირთვა**;
6. ბაკალავრის დიპლომის სკანირებული pdf ვერსია (მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
7. ბაკალავრის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
8. მაგისტრატურის დიპლომის სკანირებული pdf ვერსია (დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
9. მაგისტრატურის დიპლომის დანართი GPA-ის მითითებით ინგლისურ ენაზე (დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
10. *დამატებითი მხარდაჭერა ნაკლები შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებისთვის; (არსებობის შემთხვევაში, სკანირებული pdf ვერსია):*
    - *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით);*
    - *სოციალურად დაუცველი პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
    - *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით);*
    - *არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობით);*
    - *ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი;*
11. შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (სკანირებული pdf ვერსია). ხელშეკრულების შესავსებად გადადით უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე, მოინიშნეთ თქვენთვის სასურველი საგნების ჩამონათვალი, **კონსულტაცია გაიარეთ თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ დოკუმენტის პირველი გვერდი,** რომელიც შევსების შემდეგ უნდა

დაამოწმოთ თქვენი ხელმოწერით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ხელმოწერით/ბეჭდით (ერაზმუს+ პროგრამის, ორმხრივი თანამშრომლობის) .

12. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
13. სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე არაუმეტეს 1 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ.;
14. საკვლევი გეგმის მონახაზი ინგლისურ ენაზე არაუმეტეს 2 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ. (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
15. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (Letter of Interest) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ). (მხოლოდ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის);
16. სასურველი უნივერსიტეტების ჩამონათვალი ინგლისურ ენაზე ლათინური ანბანის მიხედვით;
17. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა *(გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია*);

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული სტუდენტები უნდა დარეგისტრირდნენ გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge, ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) და გადმოგზავნონ განაცხადი ელექტრონულად 2023 წლის 9 ოქტომბრის 14:00 საათამდე.

- **გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.**
- **რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე**

******სადოქტორო სტიპენდიებზე განაცხადის გაკეთების მსურველი მეხუთე და ზედა სემესტრების დოქტორანტების საყურადღებოდ:* *დოქტორანტურის საფეხურის მეხუთე და ზედა სემესტრების ის სტუდენტები, რომლებიც 6 სასწავლო სემესტრის განმავლობაში ვერ ახერხებენ სწავლის დასრულებას, აღნიშნულის თაობაზე ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში, დაიშვებიან კონკურსზე. ცნობა უნდა წარადგინოთ არაუგვიანეს 9 ოქტომბრის 14:00 საათისა შემდეგ ელ ფოსტაზე:* outgoingmobility@tsu.ge

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თსუ-ს მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამაში გამარჯვებულმა ყველა სტუდენტმა (მობილობის განხორციელებამდე) უნდა გაიაროს სავალდებულო სასერთიფიკატო კურსი „ინტერკულტურული კომპეტენციები“.

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (9 ოქტომბრის 14:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე;

ბ) ფინანსები და Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

- ფიზიკური მობილობის განხორციელება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესების და რეგულაციების დაცვასთან, როგორიცაა Covid-19 ვაქცინაციის სრული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, PCR ტესტირება (ერთ- ან მრავალჯერადად), საკარანტინო სივრცეში დარჩენა, სამოგზაურო, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა და სხვა, რაც ფინანსურ ხარჯებთან და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. ყველა ასეთი ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მობილობაში მონაწილე სტუდენტის მიერ.

გ) კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ
https://www.tsu.ge/ka/foreign-relations/page/8837

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის” 49[2] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტი მშობლიურ უნივერსიტეტში ირიცხება, როგორც აქტიური სტუდენტი და შესაბამისად, სტუდენტმა ყველა სემესტრში უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია!
(tsu.ge)

გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენების სახელმძღვანელო
https://tsu.ge/assets/media/files/42/Outbound_Mobilities/UserGuide_mobility.tsu.ge_v1.pdf

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge